საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №63/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 10 ივლისის №63 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს №63/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არ იმსჯელა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე და კერძო საჩივრის საფუძვლებზე.

1.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ 3 თვემდე გააჭიანურა საქმის განხილვა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 16 ოქტომბერს -- --, -- -- და -- -- წარმომადგენელმა -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების -- მუნიციპალიტეტის მერიის და -- მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ -- მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მიმართ, რომლითაც მოითხოვა -- მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ -- მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ივლისის №-- და -- მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 16 ოქტომბრის №-- ბრძანებების ბათილად ცნობა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით -- --, -- -- და -- -- შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინება 2017 წლის 6 ნოემბერს კერძო საჩივრით -- სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა -- -- მუნიციპალიტეტის

მერიის სსიპ -- -- მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა, ხოლო შპს -- -- 2017 წლის 24 ნოემბერს.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2017 წლის 8 დეკემბრის განჩინებით -- -- მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ -- -- მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის კერძო საჩივარი ხარვეზის შევსების შედეგად მიღებულ იქნა წარმოებაში.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2017 წლის 28 დეკემბრის განჩინებით შპს -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2018 წლის 19 თებერვლის განჩინებით -- -- მუნიციპალიტეტის სსიპ -- -- მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და შპს -- -- კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინება.

2.3. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2019 წლის 28 თებერვალს გამართულ სასამართლო მთავარ სხდომაზე, მოსარჩელეებისა და მესამე პირის, -- -- წარმომადგენელმა -- -- იშუამდგომლა საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით მესამე პირებად -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- ჩაბმა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით -- --, -- -- და -- -- სარჩელი, არ დაკმაყოფილდა.

2.4. აღნიშნული გადაწყვეტილება 2019 წლის 24 აპრილს სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- და -- --.

-- -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2019 წლის 24 ივლისის განჩინებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შევსების შედეგად მიღებულ იქნა განსახილველად. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2019 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება.

2.5. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს -- --, -- -- და -- --. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინებით დაუშვებლობის გამო განუხილველი დარჩა -- -- საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 ივლისის განჩინებით -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის განჩინება.

2.6. -- სააპელაციო სასამართლოდან მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლე -- -- 2019 წელს განსახილველად ჰქონდა 54 სააპელაციო საჩივარი, საიდანაც დაასრულა 32 (59%) და 387 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, საიდანაც დაასრულა 381 (98.4%).

2.7. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით, -- -- 2020 წლის 10 ივლისის №63 საჩივარზე, კანონიერების შემოწმების ნაწილში (1.1 პუნქტი) შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო 1.2 ქვეპუნქტზე მომზადდა დასკვნა. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელა 1.2 ქვეპუნქტში მითითებულ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს დასკვნა:

-- -- 2020 წლის 10 ივლისის №63 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 751 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული, მნიშვნელოვანია განისაზღვროს:

1. საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2. მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3. საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiecre and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129). თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

დადგენილია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2017 წლის 8 დეკემბრის განჩინებით -- -- მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ -- -- არქიტექტურის სამსახურის კერძო საჩივარი ხარვეზის შევსების შედეგად მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2018 წლის 19 თებერვლის განჩინებით -- -- მუნიციპალიტეტის სსიპ -- -- მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და შპს -- -- კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინება. ამდენად, კერძო საჩივარს მოსამართლე -- -- განიხილავდა 2 თვე და 10 დღე.

იმის დასადგენად არასაპატიო მიზეზით არსებითად დაარღვია თუ არა მოსამართლემ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადა, აუცილებელია გავითვალისწინოთ კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში, ყურადსაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი საქმის განხილვის გონივრულობის შეფასების კრიტერიუმები.

შესაბამისად, მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე, სტატისტიკური მონაცემები და განსახილველ საქმესთან მიმართებაში კერძო საჩივრის განხილვისათვის კანონით დადგენილი 2 თვიანი ვადის 10 დღით დარღვევის ფაქტი არ იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მოსამართლის ქმედება დასაბუთებული ვარაუდით შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №63/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი